N 01/3307
27/07/2020

3307-01-2-202007271047

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

სკრინინგის განცხადება

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (ს/კ 202886788) N1 ავტობაზის ტერიტორიაზე (ქ.თბილისი, ჟორესის ქ. N7) დაგეგმილი აქვს ბაზის რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელება, რომელიც, სხვა სამუშაოებთან ერთად, ითვალისწინებს დიზელ-გასამართი სადგურის (2x60მ^3 მიწისქვეშა რეზერვუარით) და ჩამდინარე წყლების გამწმენდი სალექარის მოწყობას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის და კოდექსის მე-II დანართის (3.5 და 10.6 ქვეპუნქტების) საფუძველზე, როგორც საქმიანობის განმახორციელებელი, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის (დიზელგასამართი სადგურის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი სალექარის) სკრინინგის განცხადებას და თანდართულ სკრინინგის ანგარიშს.

ამავე ობიექტზე 2020 წლის 22 ივნისის N9280 განცხადებით, სკრინინგის პროცედურის გასავლელად, თქვენ მოგმართათ ჩვენმა პროექტანტმა (შპს „ჯეოსილქროუდი“). თქვენგან მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით (წერილი N 6112/01, 02/07/2020) შედგენილი განახლებული სკრინინგის ანგარიში მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ;
- საქმიანობის ობიექტების განლაგების სქემა ტოპო-რუქაზე დატანით.

გთხოვთ, გვაცნობოთ სამინისტროს მიერ მიღებული სკრინინგის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

დანართი 1 - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ N1 ავტობაზის რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში დიზელგასამართი სადგურის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი სალექარის მოწყობის სკრინინგის ანგარიში

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი